ა(ა)იპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

12.03.2012 №28

[მესამე მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის

არჩევნების შესახებ]

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სტუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის 2012 წლის 10 მარტს №2 სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისად, სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდეს 2012 წლის 5 აპრილს.
2. მოქმედი სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის წევრების მომართვის საფუძველზე დამტკიცდეს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების დებულების თანდართული პროექტი და სტუ-ს მესამე მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდეს ამ დებულების შესაბამისდ (დანართი №1).
3. დებულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელიც საჭიროებს სტუ-ს ადმინისტრაციის მხრიდან დახმარებას, კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად, სტუ-ს სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს ბორის გითოლენდიას დაევალოს, კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნულ საკითხებზე სტუდენტურ თვითმმართველობას გაუწიოს დახმარება და საჭიროების შემთხვევაში მათთან შეთანხმებით პერიოდულად წარმოადგინოს დამატებითი წინადადებები.
5. ინფორმაციის საჯაროობის მიზნით ბრძანება განთავსდეს სტუ-ს ინტერნეტ გვერდზე.

საფუძველი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის წევრების გ. კულდონაშვილის, მ. აბჟანდაძის, ზ. ჭყონიას, ე. რუხაძის, გ. მექერიშვილის, ვ. მეშველიანის, ლ.ფიფიას, თ. თუთაშვილის მიმართვა.

რექტორი /ა. ფრანგიშვილი/

ვიზები:

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი / ქ. ქოქრაშვილი/

იურიდიული

დეპარტამენტის უფროსი /ბ. მაისურაძე/